სახალხო გაზეთი

№ 181 შაბათი, 11 დეკემბერი, 1910 წ. წელიწადი პირველი. № 181

განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კაპ., უკანასკნელზე—10 კაპ. სხვა ადგილებიდან გაზეთის გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტით ტექსტის წინ 20 კაპ., უკან—10 კაპ. აძლევიარო განცხადების დაბეჭდვა პირველ გვერდზე თითო ჯერ საღამოს 4 საათამდე ღირს 3 მ. 4 საათის შემდეგ მეტი ეღირება.

განცხადებანი იმ პირთა, ფირმათა და დაწესებულებათაგან, რომელნიც გაზეთის გარეშე არიან, ან მთავარი კანტორები და განყოფილებანი აქვთ, მიიღება მხოლოდ სავაჭრო სახლის ლ. და ე. მ. ტ ლ და ამხ—ბის განცხადებათა მ. ცენტრალურ კანტორაში მოსკოვში, მიასნიცკის ქ., ს. სიტოვინის და მის განყოფილებებში: პეტერბურგში—მორსკაია 11, ვარშავაში—ძარმალკოვსკის ქ. 130, პარიზში—ბირჟის მოედანი.

წერილის მიწერა და დასაბეჭდი განცხადებები მიიღება „სახალხო გაზეთის“ რედაქციაში და კანტორაში ყოველ-დღე კვირა-უქმეების გარდა, დილის 9 საათიდან 3—მდე. საღამოთი 5-დან 7-მდე.

ხელ მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება, დაუბეჭდავ მცირე წერილებს და კორესპონდენციები სულ არ ინახება, ინახება ერთის თვით მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობები. პირადად მოლაპარაკება მიიღება ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა დილის 10 საათიდან ხამუალდეგის 3 საათამდე. ადრესის გამოცვლა 40 კაპ.

რედაქციის ადრესი: ტფილისი დიდი ვანქის ქ. N 12, Семену Пашалишвили.

ფოსტის ადრესი: Тифлисъ, Большая Ванская

ცალკე ნომერი ყველგან ერთი შაური.

დამატებიანი ნომერი (კვირისა) 7 კაპ.

ყოველ-დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გამოცემა.

მიიღება ხელის მოწერა 1911 წლისთვის

წელიწადი მეორე **სახალხო გაზეთი** წელიწადი მეორე

ყოველდღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო

მომავალ 1911 წელს გაზეთი გამოვა იმავ პროგრამით, როგორც წარსულს წელს გამოდიოდა.

ყოველ-დღიურ გაზეთის გარდა გაზეთს ექმნება კვირეული

სურათებიანი დამატება

დამატება გამოვა კვირაობით.

გაზეთის ფასი დამატებიანად: წლით, როგორც ქალაქში, ისე ქალაქ გარეთ ღირს 8 მან. 50 კ., ნახევარი წლით—4 მან. 30 კაპ., ერთი თვით—80 კაპ.

გაზეთის ფასი ტფილისში და მის გარეთ აღნიშნულია პირველ სტრიქონზე და საზღვარ გარეთისა—მეორე სტრიქონზე:

წლ.	11 თვ.	10 თვ.	9 თვ.	8 თვ.	7 თვ.	6 თვ.	5 თვ.	4 თვ.	3 თვ.	2 თვ.	1 თვ.
8. 50.	8. —	7. 50.	6. 90.	6. 20.	5. 50	4. 80.	4. —	3. 20.	2. 40.	1. 60.	— 80.
12. 8.	11. —	10. —	9. —	8. —	7. —	6. —	5. —	4. 50.	3. 50.	2. 50.	1. 25.

ცალკე ნომერი ყველგან ერთი შაური

დამატებიანი ნომერი (კვირისა) 7 კაპეიკი.

ადრესის გამოსაცვლელი ფასი 40 კაპ.

ხელის მოწერა მიიღება „სახალხო გაზეთის“ კანტორაში და წერა-კითხვის საზოგადოების წიგნის მაღაზიაში ი. ავალიშვილთან.

წლიურ ხელის მომწერს გაზეთის ფასი შეუძლიან გადიხადოს ნაწილ-ნაწილადაც: ხელის მოწერის დროს 3 მან., 1 მარტისთვის 2 მან. 1 მაისისთვის 2 მან. და 1 ივლისისთვის 1 მან. 50

გაზეთის გამოწერა შეიძლება მხოლოდ ყოველ თვის პირველ რიცხვიდან და არა ნაკლებ ერთი თვისა.

„სახალხო გაზეთის“ კანტორაში ხელის მოწერა მიიღება ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა დილის 9 საათიდან 3 საათამდე და ნაშუადღევის 5 საათიდან 7 საათამ. თვის ბოლოს კანტორა კვირა-უქმე დღეებშიაც იქნება ღია.

ქალაქ გარეთ ხელის მომწერთ ფული უნდა გამოგზავნონ ამ ადრესით:

Тифлисъ, редакція „Сахалхо газети“.

დამდეგ 1911 წლის განმავლობაში „სახალხო გაზეთის“ დამოუკიდებლივ განზრახულია გამოიცეს რამდენიმე კრებული სამეცნიერო, ფილოსოფიური და სამხატვრო შინაარსისა. თითო წიგნი იქნება 300—500 გვერდამდე. გამომცემლებთან შეთანხმებით „სახალხო გაზეთის“ წლიურ ხელის მომწერლებს თითო წიგნი დაეთმობათ 50 კაპ., სხვებისთვის კი ეღირება არა ნაკლებ თითო მანეთისა.

კვირას, 12 დეკემბერს, კუკიის წმ. ნინოს ეკლესიაში, წირვის შემდეგ გარდახდილი იქნება პანაშვიდი დაუვიწყარ ძმის

გიორგი დეკანოზიშვილის

სულის მოსახსენებლად, რასაც აუწყებს ნათესავთა და ნაცნობთ **და მარია გაბრიელის ასული ქანანოვისა.** (2—281—1)

ქართული თეატრი

● ბენეფისი ვ. ა. აბაშიძისა ●

კვირას, 12 დეკემბერს, 1910 წ.

ქართულ დრამატ. საზოგადოების დასის მიერ წარმოდგენილი იქნება:

I

ქმართა სკოლა

კომედია 3 მოქმედებად მოლიერისა, თარგ. ივ. მაჭავარიანისა.

II

მუსიკა და დეკლამაცია

III

გულმა იგრძნო

დრამ. 1 მოქ. თარგ. მ. ხაფაროვ-აბაშიძისა.

მონაწილეობენ: ქ-ნნი: ტ. აბაშიძე, დავითაშვილი, ლოლუა, პიერრეტა, ჩერქეზიშვილი. ბ-ნნი: გ. აბაშიძე, გვარაძე, ზარდალიშვილი, მამფორია, შეთკინეთნუგეშიშვილი, გ. მატარაძე, მაჭავარიანი, მგალობლიშვილი, კანდელაკი, მალიკაშვილი.

ადგილების ფასი საბენეფისოსა.

დასაწყისი სწორედ საღამოს 8 საათზე.

რეჟისორი **გ. აბაშიძე.** **ადმინისტ. ქართ. დრ. საზოგადოებისა.** 5—4

ტფ. ქალაქის თვითმმართველობისაგან

ხმოსნების ამორჩევა ქალაქის საბჭოში (ოთხის წლით 1911—1914 წლამდე) განზრახულია მოახდინონ მომავალ გაზაფხულს. იმ პირია სია, **არჩევნებში მონაწილეობის მიღებისა, რომელთაც უფლება ექნებათ** გამოქვეყნდება 20 თებერვალს 1911 წელს.

ამ სიაში მოჰყვებიან მხოლოდ ის პირნი, რომელნიც **ყოველ-გვარ გადასახადებს (ნედოიმკებს)**, სადამფასებლო ხარკისას, შეიტანენ 1 იანვრამდე 1911 წლისა. აცხადებს ამას ქალაქის თვითმმართველობა და სთხოვს ბ. ბ. **უძრავ** ქონების პატრონნი, დროით შეეცადნენ ზემოაღნიშნულ გადასახადების შეტანას. (ნედოიმკები). (1—280—1)

ვაგზლის კერძო სამკურნალო

გარედან ყოველ დღე მოსიარულე ავადმყოფთათვის.

ვოგზლის ქუჩა, № 8, ს. ენფიანჯიანცისა, ტელეფონი № 695.

ვ. ვაშაკიძე—ყოველ დღე 9—11 ს. კბილის ავადმყოფ.

შ. ა. მიქელაძე—ყოველ დღე, შინაგ. და ბავშვ. ავად. 1—2 ს.

ა. ნ. დიასამიძე—ყოვ. დღე, 11½—12½ ს, სიფილისი, კანისა და ვენგრ.

ნ. ბ. მელიქიშვილი—ყოველ დღე, ქირურგ. და ქალებისა, 1—2. ს.

ა. ძალაძე—ყელ., ყურ., ცხვირ. და ყოველ დღე 12—1 ს.

ტერ-ნიკოლოსოვი ფ. ვ.—შინაგ. და ბავშვ. ოთხშაბათობით და კვირობ. 11½ 12½ საათ.

ე. ვ. ფეოდოროვი—ყოველ დღე, ოთხშ. და კვირის გარდა, 11—12 2 ს. შინაგანი და ბავშვების ავადმყოფობანი

მიკროსკოპიული, ბაქტეროლოგიური და ქიმიური გამოკვლევანი; აგრეთვე ყვავილის აცრა და ძიძების გასინჯვა. ფასი რჩევისათვის 50 კაპ.

ოპერაციები და კონსილიუმი მოროგებით (წლ.—5,—511)

ძმ. ზუბალაშვ. სახალხო სახლი

კვირას, 12 დეკემბერს, შუადღის 1 საათზე, პოეტი

აკაკი

წაიკითხავს ქართულად ლექციას შემდეგ თემაზე:

—●● არქეოლოგიური ნაშთი საქართველოში ●●—

შემოსევა აზიურ მტარვალებისა და ბრძოლა მათთან.—ქართველების დარჩენილი არქეოლოგიური ნაშთები.

ბილეთების ფასები 5 კ.-დან 50 კაპ.-მდე. ბილეთები იყიდება კასაში ყოველ დღე. (3—272—1)

ძმ. ზუბალაშვილების სახალხო სახლი

შაბათს, 11 დეკემბერს,

მუსიკალური საზოგადოების მიერ დადგმულ იქმნება ოპერა

სევილიელი დალაქი

მონაწილეობენ: ქ.ქ. აგახოვიანი, შეინგი, ბ.ბ. ბროდჯი, აგასოვი, ბუტი, ინაევი, კეურბატოვი, კეუზაკოვი და სხვა. დირიჟორი პ. პ. ფალიაშვილი.

რეჟისორი მეფრის პროფესიონალი ენრიკო ბროჯი.

დასაწყისი საღამოს 8 საათზე.

ფასები 5 კ.-დან 80 კ.-მდე. ბილეთები იყიდება თეატრის კასაში.

(3—271—2) ადმინისტრატორი თ. დოლიძე.

ძმათა ზუბალაშვილების სახალხო სახლი

ორშაბათს, 13 დეკემბერს,

ან. ჩირკაძის, ვ. ლეჟავას, პიერრეტას, ნეშიერიანის და გ. ყიფიანის, შ. შარაშიძის, ი. ივანიძის, ნ. გოგირიძისა, ნ. გვარაძის, გ. მატარაძისა და ს. ხვიმონიძის მონაწილეობით წარმოდგენილი იქნება

ღალატი

დრამ. 5 მოქ. ალ. ხუმბატაშვილისა.

ადგილების ფასი 5 კ. 50 კაპ.

დასაწყისი 8 საათზე.

რეჟისორი **ს. ხვიმონიძე.**

მოითხოვეთ გუნებრივი

კახური ღვინოები

თავ. ალექ. მ. ჯორჯაძისა და ამხ—ს.

საკუთარ ვენახებიდან.

საწყობი მიხეილის პროსპექტზე, სახლი № 86; აგრეთვე ისყიდება საუკეთესო მაღაზიებსა და რესტორანებში ხელმისაწვდომ ფასად. (30—186—17)

ტფილისის კერძო სამკურნალო

გაფართოებულია და სტაციონალური განყოფილება

მოწყობილია 50 საწოლით.

განსაკუთრებული სამშობიარო განყოფილება.

ქსენიევის ქუჩა, საკუთარი სახლები № 7, „ვეტცელის“ სასტუმროსთან.

ტელეფონი № 500.

სტაციონარულ ავადმყოფთა მიღება ყოველთვის შეიძლება დღეც და ღამეც.

საამბულატორო ავადმყოფებს მიიღებენ სპეციალისტი ექიმები:

ღამბაშიძე ვ. დ.: შინ. და ბაკუვ. ყოვ. დღე; გარდა კვირისა 11—12 საათ.

გედეგანიშვილი მ. ა. ნერ. და ელექ., ორშ., და პარ. 10½—11 ს.

გურკა ვ. ა. შინაგ. შაბ. 1—2 ს. და კვირას 11—12 საათ.

კარშინი ა. ა. კან. და ვენ., ყოველ დღე კვირას გარდა 2½—3½ ს.

მაღალაშვილი გ. გ. შინ., სამშ. და შაბ. 10—12 ს.

ქიქოძე ტ. ხ. შინაგანი. ორშაბათობით და ოთხშაბ. 9—10 ს.

ნანნვეტაძე ვ. მ. შინ., ორშ., ოთხშ., და პარასკ. 1—2 ს.

მუსხელიშვილი ვ. ხ.—თვალისა, ორშაბ., ოთხშაბ. და პარასკ. 2—2½ ს.

შელიქაშვილი. ნ. მ. ქირურ. და დედაკაც. ყოველ დღე 12—1 ს.

ფირალოვი რ. ბ. ქირურ. ყოველ დღე 12—1 ს.

ჩაჩავი ვ. ა. ყურ., ყელის და ცხვირის ყოველ დღე 2—2½ ს.

ხიბოლევსკი ვ. ვ. ქირურ., ყოველ დღე, 9—11 ს.

სამკურნალოს აქვს მოწყობილი საკუთარი მიკროქიმიურ და ბაქტეროლოგიური ლაბორატორია, რომელსაც განაგებს ექიმი ე. გ. ფედოროვი.

რჩევა ღირს 50 კაპ., საწოლები 2 მანეთიდან დაწყებული. ოპერაც. კონსულტაც., ელექტრონით წამ., მასსაჟი, ყვავილის აცრა, ძიძათა შემოწმება და სხვა შეღავათ. საფასურით. (200—ნ.—348)

საუმაწვილო ხურათებიანი ეურნალი

„ნაკადული“

(წელიწადი მეშვიდე)

1911 წელს გამოვა იმავე პროგრამით, როგორც აქამდე გამოდიოდა. წლის განმავლობაში ხელის-მომწერი მიიღებს

24 წიგნი მცირე წლოვანთათ 12 წიგნი მოზრდილთათვის.

ნაჩუქრად მიეცემათ: 1. ლეგ. ტოლსტოის ბავშვობა და ნიყრმე. რომელიც ითარგმნება **განსაკუთრებით** „ნაკადულისათვის“, ლევ ტოლსტოის ბიოგრაფიით და სურათით. 2. **რჩეულ** მოთხრობათა კრებული.

ფასი ეურნალისა: წლიურად ორივე გამოცემა ნუთი მანეთი, ნახევარი წლით 3 მანეთი; ნაზღვარ-გარედ: წლიურად—7 მანეთი. ცალ-ცალკე გამოცემა მცირეწლოვანთათვის 24 წიგნი—სამი მანეთი, მოზრდილთათვის 12 წიგნი—სამი მაეთი.

ხელის მოწერა მიიღება ტფილისში, **„ნაკადულის“** რედაქციაში (გოლოვინის პროსპექტზე. 8. და წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების მაღაზიაში. თავ.-აზნაურო ქარვასლაში).

რედაქტორი **ნინო ნაკაშიძე.**

გამომცემელი თ. პ. ი. თუმანიშვილი.

შაბათს 11 დეკემბერს, გამოვა

გასასყიდად

ალმანახი

„606“ № 2.

გაზეთის გამყიდველებს შეუძლიანთ ალმანახი იყიდონ „სოროპნის“ სტამბაში. ფასი 3 კ. (3—2)

ექიმი კბილისა **ნინო რცხილაძე**

იღებს ავადმყოფთ დღით 9—2 საათამდე, საღამ. 5—7 საათ. ოზმაიღლის ქ. N 2.

ექიმი ქ. ქუთაისში **თ. ტყეშელაშვილი**

დაბრუნდა საზღვარ-გარეთიდან და განაახლა ავადმყოფების მიღება. იღებს შინაგან და სპეციალურად ვენერიულ საშარდე და სასქესო აგებულობათა სიფილისის და კანის სნეულებით ავადმყოფთ. 9—12 ს. 6—8 საღ., ტფილისის ქ. ფილარეტოვის სახლი, (50—170—29)

ექიმი ე. ი. მინასიანცი

ხწამლობს შინაგან, საბავშვო და კეჟის ავადმყოფობას; პროფესორ **მატფეიუს** სპეციალურ კლინიკიდან. მიიღებს ავადმყოფებს დილით 9—11 საათზე, საღამოთი 5—7 საათ. ელისაბედის ქ. N 39. ტელეფონი 1067. (100—43)

ექიმი შ. ა. მიქელაძე

იღებს **შინაგან და ბავშვთა** სნეულებიანი ავადმყოფთ ყოველ დღე საღამოს 5 ნახ.—6 ნახ. საათამდის. **კაზბეგის ქ. ტელეფონი N 816.**

ექიმი ე. ვაშაკიძე

იღებს შინაგან სნეულებით ავადმყოფებს. დილით 8—9 ს., საღამოთი 5—7 ს. გოგოლიხა და ბატარეინის ქუჩების **კუთხე N 24.** 0—285

ელექტრონისა და რენტგენის სამკურნალო

მიხეილ გედევანიშვილისა

იღებს ავადმყოფებს კვირის გარდა დილით 12—1 ს., საღ. 6—7 ს., **განინჯვა** და გადაღება **რენტგენის** სხივებით. ვერა, ყორღანოვის ქ.,N 20. (0—5.—104)

ექიმი ჯ. ა ფ ა რ ი ძ ე

ქ. ქუთაისში

იყვანს ყურის, ყელის, ცხვირის, ბავშვებისა და შინაგანის სნეულებით ავადმყოფებს ყოველ დღე. ტფილისის ქუჩა, სახლი თავ. ნიეარაძისა. (თ.—188—24)

ექიმი რ. დ. მაჯავარიანი

იღებს ავადმყოფთ ყოველ დღე დილით 8—11 საათამდე და საღამოს 6—8 **საათამდე** ბაკინოვის ქუჩა N 7. თ.—180—52

ბაქოში

◀ ვეძებ ▶

მიხეილ ნასიძე

სცხოვრობს სპასკის ქუჩაზე, სახლის № 49. (10—5)

ექიმი კბილისა ალ. სოლოღაშვილი

იღებს ავადმყოფებს 9—2 ს. და 5—7 ს. გოლოვინის პროსპ. N 12, სახლი მდივნისა. (ფ)

ექიმი ვ. ს. მუსხელიშვილი

იღებს თვალებით ავადმყოფებს ყოველ დღე დილით 9-დან 11-მდე. ჯოროჩინის ქ., № 9. (ფ)

ექიმი ა. ნ. დიასამიძე

კანისა და ვენერიულ ავადმყოფებს იღებს ყოველ დღე დილით 2—1 ს. საღამ. 6—7 ს. ზუთმაბათობით მხოლოდ დილით 8—9 ს. კვირაობით ავადმყოფებს არ იღებს. მოსკოვის ქ. N 4, სახლი გაბაშვილისა. (ფ)

ტფილისი, 11 დეკემბერი

სახელმწიფო საბჭო და სათათბირო. ზედა-პალატის ერთადერთ მიზანს ქვედა პალატის უკიდურეს რადიკალიზმის შესუსტება შეადგენს. ასეთ როლს თამაშობდა ლორდთა პალატა ინგლისში. გამოცდილებამ დაგვიმტკიცა, რომ ინგლისის ზედა-პალატა ერთხელ არჩეულ ტრადიციულის გზით მიემართებოდა და მხოლოდ იშვიათ შემთხვევებში ერეოდა ხოლმე ქვედა პალატის საკანონმდებლო მუშაობაში. რუსეთის სახელმწიფო საბჭოც ამ განზრახვითაა დაარსებული. რეფორმის შემომდეგს, როს რადიკალიზმისა და დარაჯად სახელმწიფო საბჭო მიუჩინა. რუსეთის ცხოვრების მიმდინარეობამა და სათათბიროს მოქმედებამ დაგვიმტკიცა, რომ რუსეთის ახალგაზდა პარლამენტს დარაჯი არა სჭირია, დღემდის იგი მხოლოდ მთავრობის განზრახვებს ასრულებს და ისეთ კანონ-პროექტებს ადასტურებს, რომელნიც თვითმთავრობისათვისაა ხელ-საყრელი და მის მიერვე მოწონებული. მართალია, სათათბიროს ხანდახან ცვლილებანი შეაქვს ხოლმე მთავრობის კანონ-პროექტებში, მაგრამ ეს ცვლილებანი იმდენად უმნიშვნელონი არიან, რომ კანონ-პროექტს არსებითს მხარეს არ უცვლის.

რა უნდა ექნა ამისთანა პირობებში სახელმწიფო საბჭოს? მას არა ჰსურდა საკანონმდებლო მუშაობის უბრალო მოწმე ყოფილიყო და ამიტომ სათათბიროს მიერ მოწონებულ კანონ-პროექტებს ყოველთვის კრიტიკა ედგა. სათათბიროს სრულიად უბრალო და უმნიშვნელო შესწორებანიც კი დიდს კამათს იწვევდა საბჭოში. სახელმწიფო საბჭოს ასეთი მიმართულება კანონმდებლობას აფერხებდა სათათბიროში, რაც დიდს უკმაყოფილებას იწვევდა.

ერთხანად იმედი ჰქონდათ, რომ სტოლიპინის დახმარებით გავლენას მოახდენდნენ საბჭოზე და აგრძნობინებდნენ, თუ რაში გამოიხატება ზედა-პალატის პირდაპირი დანიშნულება. ვისაც ასეთი იმედები ჰქონდა, გაცრუებული დარჩა. სახელმწიფო საბჭოს თავისი თავი დამოუკიდებელი საკანონმდებლო დაწესებულებად მიაჩნია და ხშირად მედიდურადაც დასცქერის სათათბიროს საქმიანობას.

2 დეკემბერს სახელმწიფო საბჭოში წარმოთქმული პ. ნ. დურნოვოს სიტყვა ამ მხრივ ფრიად დამახასიათებელია. დურნოვო ამტკიცებდა,—სათათბიროს მიერ შემუშავებული კანონ-პროექტები, რედაქციის მხრივ, ძალიან ცუდადაა შედგენილი და ხშირად რუსულ სახელმწიფოს მართვა-გამგეობის გარეშე სდგასო, ე. ი. არ შეეფერება იმ კანონმდებლობას, რომელიც დღემდე სწარმოებდაო.

სათათბიროს კანონმდებლობა რომ წინანდელს კანონმდებლობისაგან განსხვავდება, ეს არც ძალიან გასაკვირველია, რადგანაც წინად ბიუროკრატიული კანონმდებლობა არსებობდა ეხლა კი,—ცუდია თუ კარგი,—მაინც პარლამენტის კანონმდებლობაა. საპარლამენტო კანონმდებლობა კი, თქმა არ უნდა, ყოველთვის განსხვავებული იქნება ბიუროკრატიულ კანონმდებლობისაგან.

მაგრამ საინტერესო მხარე დურნოვოს სიტყვისა, ამით არ განისაზღვრება. საყურადღებოა ის მბრძანებლობითი კილო, რომლითაც გაჟღენთილია დურნოვოს სიტყვა, თითქოს საბჭო მართლაც მბრძანებელი იყოს სათათბიროსი.

საზოგადოდ სახელმწიფო საბჭო მბრძანებლობითს კილოს იღებს და ამაში სახელმწიფო სათათბიროსაც ბრალი უძევს. სათათბირო არასოდეს არა ცდილა წინ აღდგომოდა ამ მბრძანებლობითს კილოს, პირიქით ძალიან ხშირად უთმობდა ხოლმე და ამითი ადასტურებდა, რომ სახელმწიფო საბჭო მას თავის ბატონად მიაჩნია.

ამ რამდენისამე ხნის წინად, მაგალითად, სახელმწიფო საბჭოს გულის მოსაგებად აღადგინა უარყოფილი კრედიტი საერობო უფროსებისთვის.

სათათბიროს ასეთმა უმოქმედობამ და სილაჩრემ ისე გაათამამა სახელმწიფო საბჭო, რომ უკანასკნელმა ზედი-ზედ უარჰყო სამინისტროს კანონ-პროექტები. ფრიად საინტერესო კურიოზები იბადებოდა: მთავრობას კანონ-პროექტები შეჰქონდა სათათბიროში, სათათბირო ადასტურებდა, მაგრამ სახელმწიფო საბჭო კი უკანაბრუნებდა.

საბჭოს ამნაირ მოქმედებას მთავრობისთვის უხერხულობა უნდა ეგრძნობინებინა, მაგრამ, როგორც ეტყობა, იგი არავითარს უხერხულობას არა ჭვრძნობს. ამას ნათლად ამტკიცებს სასამართლოს რეფორმის შესახებ. როგორც ჩვენს მკითხველებსაც მოეხსენებათ, ადგილობრივ სასამართლოს კანონ-პროექტი სახელმწიფო სათათბიროში იუსტიციის მინისტრმა—შჩეგლოვიტოვმა, შეიტანა. ეს კანონ-პროექტი, სხვათა შორის, ეხლანდელ სასოფლო სასამართლოების გაუქმებას მოითხოვდა. ამ სასამართლოების მაგივრად მომრიგებელ მოსამართლის ინსტიტუტი ჰსურთ შემოიღონ. ეს ცვლილება იმით არის საყურადღებო და სასარგებლო, რომ მოსამართლის ფუნქციები, საერობო უფროსის (земскій начальникъ) ხელიდან, არჩეულ მოსამართლის ხელში გადადის. სახელმწიფო საბჭოს მემარჯვენე ჯგუფს კი, რომელსაც პ. დურნოვო ჰხელმძღვანელობს, ჰსურს სამართლის საკითხები საერობო უფროსის კომპეტენციას შეადგენდეს.

ეს ჯგუფი, ამ ბოლო ხანებში, ისე ძალიან გაძლიერდა, რომ თავის პირობებს უკარნახებს მთავრობის წარმომადგენლებს.

რუსეთის გაზეთები გვაუწყებენ: სახელმწიფო საბჭოს კომისიის სხდომაზე პ. ა. სტოლიპინმა და ი. გ. შჩეგლოვიტოვმა განაცხადეს, უარს ვამბობთ ჩვენს წინანდელ პროექტზე სასოფლო სასამართლოების გაუქმების თაობაზეო. მართალია სტოლიპინსა და შჩეგლოვიტოვს ახალი კომბინაცია მოუგონიათ, მაგრამ არსებითად კანონ-პროექტი დამარხულად უნდა ჩაითვალოს. ძარღვი ამ კანონ-პროექტისა იმაში მდგომარეობდა, რომ სოფლის წოდებრივი სასამართლო საყოველთაო სასამართლოს ექვემდებარებოდა და მოსამართლედაკ არჩეული პირი უნდა ყოფილიყო.

ასეთს გავლენას ახდენს სახელმწიფო საბჭო მთავრობის წარმომადგენლებზე და ასე აფართოვებს თავის კომპეტენციას. ასეთი გაფართოვება კი საზოგადოდ ვერ გამართლდება ვერც ზედა პალატის ტრადიციებით და ვერც სახელმწიფო საბჭოს დებულებით.

დეპეშები

(პეტერბ. დეპეშათა სააგენტოსაგან)

10 დეკემბერი.

საზღვარ-გარეთ.

სოფია. ადგილობრივმა ვ ჭრებმა და ხელ-ისნებმა მაღაზიები, კაფერესტორანები ხვალ საღამომდე ღაჭ-

კვეტეს. მიზეზი გარდასახადის მომატებაა.

პარიზი. ბრიანმა იზვოლსკი მიიღო. პალატას 11 დეკემბრისათვის დასასვენებლად დაითხოვენ. პიშონი საგარეო პოლიტიკის დეკლარაციას იანვარში წაიკითხავს.

თავრიზი. სულდუზში ოსმალეთის ჯარი გააძლიერეს. სოფ. ანგარში 150 სერბაზიდან შემდგარი ახალი რაზმები გაიგზავნა.

ბელგრადი. „პრესს-პიურო“ უარყოფს იმ ხმებს, ვითომ ინგლისს სერბიის მთავრობისათვის მიემართოს ბელგრადის გაზეთების მკაცრ კიცოს გამო ავსტრიის მიმართ, რაც ყალბ საბუთების საქმემ გამოიწვიაო.

სოფია. ხარმანლის მახლობლად საზღვრის დარაჯი ბულგარიის მიწაწყალზე ჩასაფრებულ ოსმალებს წააწყდა. იგი ზურგში დასჭრეს, მაგრამ გაქცევა მოასწრო.

პეკინი. უმაღლეს საბჭოს წევრებმა, თავ. ცინის თაოსნობით, სამსახურიდან გადადგომა ითხოვეს. უმაღლესის ბრძანებით, შუამდგომლობა არ შეიწყნარეს. საკონსტიტუციო პალატამაც მეფეს მოხსენება მიართვა, რომ უმაღლესს საბჭოს წევრებს სახელმწიფოსათვის სასარგებლო მოღვაწეობის უნარი არ შესწევთო. უმაღლესის ბრძანებით გამოეცხადათ, რომ წარჩინებულთა და დიდებულთა დანიშვნა-დათხოვნა მხოლოდ მეფეს ეკითხებაო, ამის გამო პალატის მოხსენება უყურადღებოდ დასტოვეს. პალატა შუამდგომლობს მეფის წინაშე, რომ ნაწნავების შეკვეცა აიკრძალოს.

რადგანაც პალატას ამაზედაც უარი გამოეცხადა, პალატა უმაღლეს საბჭოს პასუხმგებლობას მოითხოვს.

რომი. დეპუტატთა პალატის სხდომა 1911 წ. 11 იანვრამდე გადაიდო.

ლეიპციგი. ჯაშუშობისათვის ინგლისის აფიცრებს ტრებსა და ბრანდონს ოთხ-ოთხის წლით საპატიმ[illegible]

ბოლოტონი. მღაროში გამოწყვდეულ მუშებს ვერა უშველეს-რა. დამხსნელმა რაზმებმა თხრის დროს, 150 მუშის გვამი ნახეს.

ბელგრადი. ხალხის დაუსწრებლად შეუდგნენ ვასიჩის საქმის გარჩევას, რომელსაც ავსტრო-უნგრეთის მისსიასთან კავშირი და ყალბ საბუთების შედგენა ჰბრალდება, სამართლოს დარბაზში პროფესორი მასსარიკიცაა.

ფილადელფია. ცეცხლ-მოკიდებულ თაბახანის შესრობა ჩამოინგრა და რამდენიმე მჭრობელი დაიტანა. ნანგრევებიდან 93 გვამი ამოთხარეს.

ჩიკაგო. საყასბოს ბირჟას ცეცხლი მოედო, ნანგრევებმა 20 მჭრობელი დაიტანა. ზარალი 500 ათასი დოლლარია.

ფრანგეთ

პო. მფრინავმა ლეგანემ მიშელენის ფიალა მოიგო, იგი 316 წუთში 516 კილომეტრის მანძილზე გადაფრინდა.

კალე. მფრინავი გრასი დუვრიდან ბელგიის საზღვრამდე გადაფრინდა და ... დაბრუნდა.

პეტერბურგი

პეტერბურგი. აფიცრები—გობაუერი და კანიშევი 3 დეკემბერს პეტერბურგის მფრინავთა სკოლის ეზოდან სამხედრო აეროსანატით არხანგელის გუბერნიისაკენ გაემართნენ. როგორც დეპეშა იუწყება, ისინი არხანგელის გუბერნიაში ტუნრებზე დაშვებულან. მათ 600 ვერსზე მეტი გაუვლიათ.

რუსეთი

ნიკოლაევსკი. ხორბლის საწყობ ბეღლის ნანგრევებიდან 10 გვამი ამოიღეს, 6 დასახიჩრებულია.

ოდესა. ქალთა უმაღლეს კურსების შენობიდან დილით ასზე მეტი მოსწავლე ქალი ქუჩაში გამოვიდა. მეცადინეობა უნივერსიტეტის რექტორმა შეაჩერა.

პეტერბურგი. ვაპრობა-მრეწველობის სამინისტრომ მინისტრთა საბჭოში მოხსენება წარადგინა, პეტერბურგში რუსეთ-საფრანგეთის სავაჭრო პალატა დაარსდესო.

სათათბიროს სხდომამ სასურველად იცნო საშობაო შესვენება 1910 წ. 17 დეკემბერს დაიწყოს 1911 წ. 17 იანვრამდე გაგრძელდეს.

პეტერბურგის სასამართლო პალატაში [illegible] სათათბიროს თავმჯდომარეს, პურიშკევიჩის მიერ ნათქვამ სიტყვის სტენოგრამიული ანგარიში მოსთხოვა. ეს სიტყვა პურიშკევიჩმა უმაღლეს სასწავლებლებში მომხდარ არეულობას თაობაზე სთქვა.

უნივერსიტეტში გაფიცვა დასრულდა. სრული წესიერებაა. მეცადინეობაზე და ეგზამენებზე ბევრი სტუდენტობა გამოცხადდა. პოლიტექნიკუმში რამდენიმე სტუდენტი შეეცადა ლექცია შეეჩერებინათ. გემთა საამშენებლო განყოფილებაში ქიმიურად მოწამლეს ჰაერი. პოლიციამ სტუდენტები გამოაძევა და 17 დააპატიმრა. გვარების ჩაწერვის შემდეგ, ყველანი გაანთავისუფლეს.

ქალაქის უფროსმა, განკარგულების ურჩობისათვის პოლიტექნიკის სტუდენტი 1 თვით დააპატიმრა, 7—ორ-ორის თვით.

გამასწორებელ აღმზრდელ თავშესაფარში, სადილის დროს 40 ბავშვმა საქმელზე უკმაყოფილება გამოაცხადა, შეშის ნახეჩებით შეიარაღდნენ და არეულობა მოახდინეს. პოლიციამ ისინი დაამშვიდა. ზოგს გამასწორებელი სასჯელი გადაუწყვიტეს.

მოსკოვი. მოროზოვის ქვრივმა უპატრონო ბავშვებზე მზრუნველ საზოგადოებას 50 ათასი მანეთი შესწირა.

პეტერბურგი. ცნობათა შემკრები ბიურო იუწყება: ნოემბრის ნახევრიდან მოკიდებული სახელმწიფოს ბევრს უმაღლეს სასწავლებელში, აკრძალვის მიუხედავად, ნებადაურთველი კრებები იმართებოდა, რის გამოც პოლიცია შედიოდა მათს გასაფანტავად. უმთავრესს შემთხვევაში სოც.-რევოლუც. და სოც.-დემოკრატ სტუდენტების ზეგავლენით, ამ კრებებზე მთავრობასთან საბრძოლველად გაერთიანებისაკენ მოუწოდებდნენ, და შეუსაბამო სიტყვებს ამბობდნენ. მათ პოლიცია დაჰშლიდა ხოლმე, ამასთანავე ბევრი მათგანი არალეგალურ პარტიებს ეკუთვნოდნენ, რის გამოც იგინი დატუსაღებულ იქმნენ. ვინაიდან ასეთი უწესოების მოხდენა შეუწყნარებლად მიგვაჩნია და სასწავლებლებში სწავლის კალა[illegible] გვსურს, [illegible] საბჭომ 158 მუხლის ძალით, მიწერილობა დაუგზავნა საჭიროდა მიჩნია სათანადო უწყებათა მთავარმმართველებს, რათა წესიერებას დაარღვევთ და წამოქეზებულთ მოსწავლენი დაუყოვნებლივ გამორიცხულ იქმნენ სასწავლებლიდან.

ნაწყვეტი ჩვენი წერილიდან დღემდის აუხსნელი სიტყვების შესახებ.

რადგანაც „ვეფხის ტყაოსნ“-ის ტექსტში არსებული ძნელი და საცილობელი სიტყვების (რომლებიც ჩვენს დრომდი აუხსნელად დარჩენილა ანუ სასურველად არ არის განმარტებული და ახსნილი) ახსნა-განმარტება მოითხოვდა ხანგრძლივსა და სერიოზულ მუშაობას, ხელის შემწყობ პირობებსა და საჭირო სახელმძღვანელოებს, და ჩვენ კი ყველა ამას მოკლებული ვიყავით და თანაც, ტექნიკურის მხრით, აუტანელ პირობებში ვიმყოფებოდით, ამიტომ, ჩვენდა სამწუხაროდ, ჩვენს რეფერატისთვის დართულ ლექსიკონში ზოგი სიტყვა აუხსნელი, ზოგიც არა სასურველად ახსნილი და განმარტებული დაგვრჩა.

სწორედ ამით აიხსნება ის, როგორც ნებსითი, ისე უნებლიე, შეცდომები, რომლებიც ხვდება ჩვენს ლექსიკონში.

მას აქეთ ჩვენმა საეთნოგრაფიო და საისტორიო საზოგადოებამ შეიძინა, ჩვენის წინადადებით, სხვა სახელმძღვანელოებთან ერთად, სპეციალური სპარსულ-არაბულ-ოსმალური ლექსიკონები, რომლებმაც ასე თუ ისე გაგვიადვილეს ამ მიმართულებაზე მუშაობა და დღეს ჩვენთვის რამდენადმე შესაძლებელი ხდება ავსხნათ და განვმარტოთ ბევრი დღემდის სრულიად გაუგებარი და საცილობელი სიტყვა, რომელთა აუხსნელობა შეუძლებლად ხდის პოემის ტექსტის თავისუფლად წაკითხვას. ამ შრომის დროს, როგორც მოსალოდნელი იყო დიდი სამსახური გაგვიწია დიდად პატივცემულის მეცნიერის ბ. ნ. მარრის შრომამ „ვეფხვის-ტყაოსნის“ წინა და უკანა სიტყვაობის შესახებ.

ეს პოემის ტექსტში შეტანილი შესწორებები, ისე, როგორც ყველა მისი ძიება სამხურ-ქართულ მესიტყვეობის დარგზე, დაუფასებელია მეცნიერებისათვის და სწორედ აქ ვხედავთ ჩვენც პატივცემული მეცნიერის ეგშმარიტ მოწოდებას.

მაგრამ, აქაც, ჩვენის აზრით, ბევრი შესწორება, თუ სიტყვის განმარტება, ვერ არის სრული, თუმცა და მახვილი და მოსწრებულია.

ამიტომაც, ამ შრომაში არ შეგვეძლო ჩვენი აზრი არ გაგვეზიარებია პატივცემული მეცნიერის ზოგიერთ განმარტებათა და შენიშვნათა შესახებაც.

ზემორე თქმულის თანახმად, წინამდებარე შენიშვნებში განმარტებული სიტყვები ჩვენ შემდეგ ნაირად დავყავით:

ა) ჩვენის რეფერატისთვის დართულს ჩვენს ლექსიკონში შეცდომით ნაჩვენები, ანუ ტრადიციონულის განმარტების მიხედვით ახსნილი, ან აუხსნელი (გარდაუწყვეტელი) სიტყვები. ბ) ბ. მარრის მიერ შესწორებული ჩემი განმარტებანი. გ) ბ. მარრის შესწორებები წინასიტყვაობ-სა და, საზოგადოდ, „ვეფხის ტყაოსნის“ ტექსტის ზოგიერთი ადგილების შესახებ.

ამ ჟამად ჩვენ მოგვყავს მხოლოდ პირველ ორ ჯგუფში მოქცეული განმარტებანი.

ერთი ყველაზე გაუგებარი, ანუ შეცდომით ახსნილი სიტყვა, ჩვენის აზრით, არის **სოქალი**, რომელიც გვხვდება პოემის შემდეგს ხანაში:

რა მეფედ დასმა მეფეძან ბრძანა მისისა ქალისა,
ავთანდილს მიჰხვდა სიამე ვსება სპირს მის სოქალსა.

სთქვა: „ზედა-ზედ მომხვდების ნახვა მის ბრალ-ფიქალისა,
ნუ თუ მით ვპოვო წამალი მე ჩემი ფერ გამქრქალისა“. (იხ. ნ. 42—გ.)

ტრადიციონულის განმარტების მიხედვით, ეს სიტყვა უნდა აღნიშნავდეს ძვირფას თვალს; ასე ფიქრობენ საბა-ორბელიანის ლექსიკონის თანახმად, თეიმურაზ ბატონიშვილი, დ. ჩუბინაშვილი და სხვანი, მათ შორის ჩვენც, შეუჯერებლობის გამო, შევიტანეთ ჩვენს ლექსიკონში ეს ტრადიციონული განმარტება. ამ სიტყვის განმარტებას ეჭვის თვალით შეჰხედა „ვეფხვის ტყაოსნის ტექსტის კომენტატორმა ბ. დ. კარიჭაშვილმა, რომელიც თავის გამოცემის მე-264-265 გვ., შენიშვნა 14, სრულიად სამართლიანად შეჰნიშნავს: სოქალის—პატიოსანის ქვის ვსებას (ჩაქრობას, ჩანელებას) აზრი არა აქვს. ჩვენი აზრითო,—განაგრძობს ბ. კარიჭაშვილი, ამ სტრიქონის უკანასკნელი სიტყვები წარყვნილია და, უეჭველია, სულ ბოლო სიტყვა უნდ[illegible] ყოფილიყო ალი, რის დავსებას ავთანდილისთვის დიდის სიამის შეეძენ[illegible] შეეძლო. შეიძლება ყოფილიყო[illegible] რთული სიტყვა ოქალი სოქალ[illegible] მაგრამ, სამწუხაროდ, არ გვესმ[illegible] მნიშვნელობა არც სოქისა, არ[illegible] ოქისა“.

ამნაირად, პატივცემული კომენ[illegible] ტატორი პირდაპირ მიგვითითებს [illegible] გარემოებაზე, რომ ამ სიტყვის მნ[illegible] შვნელობა სასურველად განმარტ[illegible] ბული ვერ არის, რაც ძალა-უნ[illegible]

კვირის სურათებიან დამატების შინაარსი:

ლექსები—ს. შანშიაშვილისა, ფავლიაშვილისა, ნ. ჩხეიძისა, გრიგალაშვილისა, ბაბალინასი, გ. გორგაძისა, ბიდიდასი, ი. მჭედლიშვილისა, ს. გაფრინდაშვილისა, კ. ბაშალეიშვილისა და შ. ტატაშვილისა. სურათები: ეროსი და ფსიხეა—ქანდაკება კანოვასა, მგოსნის ჩვენება—სურათი ს. გოდლისა; კარიკატურები: ა) პრესის ბედი, ბ) ჩვეულებრივი მოვლენა, გ) ალ. ჯაბადრის გამოთხოვება

თვითონ გაზეთში ფელეტონის მაგიერ მოთავსებული იქმნება გაზეთი გაზეთში „ოხუნჯის“ სათაურით, სადაც მოთავსებულია: იუმორი, სატირა და სარკაზმი. თანამშრომლობენ ჩვენი ცნობილი იუმორისტები.

ახალი ამბები

ტფილისი

პეტრე სურგულაძისა და გიორგი გვაზავას საქმე. როგორც მკითხველებმა იციან, ტფ. სასამართლო პალატამ ერთის წლით ციხეში დაპატიმრება მიუსაჯა ქართულ ჟურნალ „ერის“ რედაქტორს პეტრე სურგულაძეს და ნაფიც ვექილს გიორგი გვაზავას ხსენებულ ჟურნალში გ. გვაზავა წერილს „ჩეხიას“ დაბეჭდვისთვის. პრალდებულთ საქმე სენატში გადაიტანეს, როგორც ახლა პეტერბურგის დეპეშათა საგენტო იუწყება, სენატს საკასაციო საჩივარი უყურადღებოდ დაუტოვია.

ქართულ-რუსული ლექსიკონი. ქართველთა შორის წერა კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების მთავარმა გამგეობამ დაადგინა: დაბეჭდოს ჩუბინაშვილის ქართულ-რუსული ლექსიკონი.

კოტე მესხის იუბილე. ქ. შ. წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების მთავარმა გამგეობამ დაადგინა, რომ მონაწილეობა მიიღოს ნიჭიერ მსახიობის კოტე მესხის იუბილეში. ადრესის მისართმევად აირჩია საგანგებო კომისია, რომელშიაც შედიან გამგეობის წევრნი: ალ. ყიფშიძე, ლ. ბოცვაძე და ძღვანი ს. კაკაბაძე.

აკაკის ლექცია. ხვალ, 12 დეკემბერს, სახალხო სახლში მკითხველი პოეტი აკაკი ქართულს ენაზე წაიკითხავს ლექციას შემდეგს თემაზე: „არქეოლოგიური ნაშთი საქართველოში“. დასაწყისი ნაშუადღევის 1 საათზე. ფასები 5 კ.-დან 50 კ.-ადე.

ტფ. სახალხო უნივერსიტეტი. ტფ. სახალხო უნივერსიტეტის გამგეობას განაზრახვა აქვს ნივთიერ ხელმოკლეობის გამო მომავალ წლის პირველ იანვრიდან ერთი რუსული, ერთი ოსური, ორი ქართული და ერთი თათრული სკოლა დახუროს.

ტფ. სასულიერო სემინარიაში. წარსულ ნოემბრის განმავლობაში სემინარიას შემოსავალი ჰქონია 4,478 მან. 83 კ., დაუხარჯავს 3,328 მან. 57 კაპ.

გლეხთა განთავისუფლების 50 წლის თავი. ტფ. სამრევლო სკოლების მასწავლებელთა ერთმა ჯგუფმა გადასწყვიტა, სკოლებში საიუბელეო დღესასწაული გამართოს გლეხთა განთავისუფლებიდან 50 წლის შესრულების აღსანიშნავად. პროგრამის შესამუშავებლად არჩეულ იქმნება კომისია.

უმაღლესი კურსები კავკასიის შესასწავლად. დღეს ბირჟის დარბაზში ა. მ. დირრი წაიკითხავს ლექციას შემდეგ თემაზე: „ჩაჩანდაღესტნელთა ახალშენები ამიერ კავკასიაში“. დასაწყისი საღამოს 7 საათზე.

ახალი სკოლა. ტფ. სამების ეკლესიასთან, მღვდელ ვასილ კარბელაშვილის თაოსნობით, სამრევლო სკოლა არსდება.

შავ ჭირთან ბრძოლა. 8 დეკემბერს, ა. ი. ხატისოვის თავმჯდომარეობით, სანიტარულ-აღმასრულებელ კომისიის კრება მოხდა, რომელსაც სხვა და სხვა უწყების წარმომადგენელნი დაესწრნენ. კრებამ მოიწონა სასანიტარო კომისიის მიერ შემუშავებული ზომები შავი ჭირის წინააღმდეგ და დაადგინა: სთხოვოს გუბერნიის სანიტარულ-აღმასრულებელ კომისიას, გამოსცეს ისეთივე სავალდებულო წესები, როგორიცა დესიშია გამოცხადებული.

ქალაქის თავისუფალი სტიპენდიები. ამ ჟამად თავისუფალია 22 საქალაქო სტიპენდია მთხოვნელი 200 კაცზე მეტია. ქალაქის გამგეობა თხოვნებს აღარ იღებს. სტიპენდიებს ქალაქის სასწავლებელთა გამგე კომისია ამ დღეებში გაანაწილებს.

ახალი წიგნები. როგორც გავიგეთ, ბ-ნი ს. ჭიჭინაძე ბეჭდავს შემდეგ წიგნებს 1) „დავითიანი“ დაბეჭდილ ვერსიებით გურამიშვილისა. წიგნს დართული ექმნება თვით დავით გურამიშვილის მიერ დახატული სურათები და 2) „ნაკვესი“ იონა მეუნარგიასი, იბეჭდება ფოთს.

9 ნოემბერს ბოდიციამ ტფილისში შეიპყრო 27 უპასპორტო.

ქართველ მკვლევართა ბიმაართ

„სახალხო გაზეთის“ მე-170 ნომერში მოთავსებულია წერილი ბ-ნ ჯა—ოსი შესახებ „ალანურობისა“ სამეგრელოში. „ალანურობა“, ჩემის აზრით, წარმოადგენს ერთს იმ ჩვეულებათაგანს, რომელიც თავის შინაარსის ნასახით და ფორმის სხეულებით ელლინთა დიონისოს კულტს ემზგავსება. ეს კულტი კი ფრიად გულისხმიერი მოვლენაა ხალხთა სულიერ კულტურაში: **ამ კულტში პირველად ისხმის სიმბოლური მოქმედებით თხზული სინამდვილე.**

ფრ. ნიცშემ, რომელმაც, ერთი მწერლის სიტყვით, ახლად გვაგრძნობინა მთელი მსოფლიო, სწორედ ამ კულტის ფილოსოფიური გახსნით ახსნა ელლინთა ძლიერი შემოქმედი სული (იხ. მისი: Die Geburt der Tragedie aus dem Geiste der Musik; რუსეთში მას იკვლევს ნიცშეს თავისებური მოსწავლე ვიაჩესლავ ივანოვი: იხ. მისი: Эллинская религія страдающаго бога).

დარწმუნებული ვარ, ჩვენში „ალანურობის“ გარდა სხვა მისგვარი ჩვეულებაც მოიძებნება (ნიშანი მისი: სიმბოლიური მოქმედება, რომელშიაც თემის მიერ თხზული სინამდვილე ისახება), და კარგს იზამენ ჩვენი კულტურის მოყვარულნი, თუ ამგვარ ჩვეულებათა მასალას, თუ გინდ დაუმუშავებელს „სახალხო გაზეთის“ ფურცლებზე გამოაქვეყნებენ. ამით, რამოდენიმედ მაინც, დაეხმარებიან ქართველობის სულიერი ისტორიის შემკნებულ სხეულად გარდაქმნას.

გრიგოლ რიხაქაძე.

წერილი პეტერბურგიდან

ქართულ სათვისტომოს კრება რამდენჯერმე მოხდა. მოხდა, სხვათა შორის, ამ თვის ოცდა ხუთსაც. კრების შინაარს არ შევეხები, ვინაიდან წერილის მიზანს ეს არ შეადგენს და საყურადღებოც არაფერი

ნებსითი და უნებლიე შეცდომა გამოგვეპარა ჩვენს შრომაში, ათჯერ მეტი იმაზე, ვიდრე ბ. ჯანაშვილი ვითომდა გვიჩვენებს თავის ნაშრომში. რომ ჩვენი შრომის ნაკლი ჩვენ ბ. ჯანაშვილზე კარგად გვესმის, ამას ამტკიცებს უკვე დამზადებული ჩვენი მოხსენება „ვეფხის ტყაოსნ“-ის დღემდის გაუგებარი სიტყვების შესახებ, ანუ უკეთ იმ გვარის სიტყვების შესახებ, რომლებიც დღემდის ისეთის მხცოვანი მკვლევარისა და „ბაშტა სამზადისითა და ცოდნით დაზურგულის“ათვის*), როგორიც ბ. ჯანაშვილი ბრძანდება, ესევ გაუგებარია. ეს მოხსენება ამდენხანს უნდა წაგვეკითხა, მაგრამ ზოგიერთი მიზეზების გამო სხვა დროისათვის გადაიდო.

რადგან ამ მოხსენებაში განმარტებული სიტყვებისა და მათ ძორის „ბაშტას შესახებაც ბ. ჯანაშვილს ჩვენ გავუზიარეთ ჩვენი აზრი **) ერთის კერძო საუბრის დროს, რაც მას დაუსაბუთებლად შეუტანია ისევ ჩვენს წინაალმდეგ მომართულ წერილში, ამიტომ საჭიროდ ვრაცხთ მოვათავსოთ ამ მცირედს შენიშვნასთან ერთად ჩვენის მოხსენების ის ადგილები, რომლებიც ამ საგანს ეხება, რომ ცხად ვყოთ ის სამწუხარო მოვლენა, რომ ჩვენს „მხცოვან მკვლევარს*) რუსული ანდაზისა არ იყოს, „ზარის რეკა სმენია და არ იცის კი სად უნდა იყოს“!

მაშ დავიწყოთ.

*) იხ. ნამრეფი N 3, გვ. სტრ. 14.

**) ვითომ დაგვასწრო რადა?!. თითქო, ალონზ ფინზონივით, ამერიკის გაზნის ხაზელი მივთვისებიოს!

*) ასე უწოდებს ბ. ჯანაშვილს ერთი ბიბლიოგრაფი თაგის ამ რამდენიმე დღის წინად „სახალხო გაზეთში“ დასტამბულ რეგენზიაში ბ. ჯანაშვილის ნამრეფის **შესახებ.**

განხილულია—მხოლოდ მსურს საყურადღებო, მეტად დამახასიათებელ თვისებაზე შევაჩერო მკითხველის ყურადღება, რომელსაც როგორ იჩენს ქართველი სტუდენტობა კრებებზე და კერძო ცხოვრებაშიც.

რა გვამცნო სავალალო სათვისტომოს კრებებმა? დავინახეთ და დავრწმუნდით, რომ ქართველ ერის მომავალ საზოგადო მოღვაწეთ მშობლიური ენა არ სცოდნიათ, ან შეკნებულად ჰსურთ გზა აუხვიონ და აზრის გამოსათქმელად უცხო ენას იშველიებენ. კრებაზე მოლაპარაკეთა რიცხვიდან მხოლოდ ერთი ადამიანი თავიდან ბოლომდე ქართულად ლაპარაკობდა. დანარჩენებს, კრინტიც არ დაუძრავთ ქართულად.

და ეს ხდებოდა **ქართულ სათვისტომოს** სხდომაზე, **ქართველ სტუდენტობის** კრებაზე!

პირველ შეხედვით თითქოს ზედმეტ „შოვინიზმად“ უნდა ჩაითვალოს ამაზე ლაპარაკი და ასეც მსჯელობს ბევრიც.

ქართველი ერი ინტელიგენტურ ძალებით (ამ სიტყვით ფართო მნიშვნელობით) მეტის მეტად ღარიბია. ყურადღება უნებლიედ უმაღლეს სასწავლებელში გაფანტულთაკენაა მიქცეული და მათში ელის ეროვნულ კულტურის და თავისებურობის მატარებელს. მაგრამ სინამდვილე ოცნება ერთმანეთს ეწინააღმდეგებიან. როგორ უნდა შესძლოს იმისთანა ახალგაზდობამ შეჰქმნას ეროვნული კულტურა, აამაღლოს გონებრივი მდგომარეობა მშობელ ქვეყნისა, თუ თვითონ მას **ენა არ აქვს,** თუ თავისიანებში მარტივ აზრის ადსანიშნადაც ქართულ ენას გაურბის?! ჭირს დიფარვა კი არა, გამომზეება უნდა, და თუ ეს ასეა, დავსკვნით, რომ ქართველ სტუდენტობას, თუ ქართულად ლაპარაკიც ვერ მოუხერხებია, სამშობლოს უბრალო სოფლელი ლექსო და პავლე მეტ სარგებლობას მოუტანენ, ვიდრე გადაგვარების გზაზე მდგომი სტუდენტობა.

ამ გარემოებას ანგარიში უნდა გაუწიოთ. ოც-და-ხუთ გიორგობის კრება ასეთ სურათს წარმოადგენდა: ოციოდ მოლაპარაკე თავ-მომწონეთ ჰერმეტყველებდა რუსულად, გარდა ამისა წაკითხულ იქმნა მოხსენებანი სარევიზიო კომისიისა, ფონდის შესახებ და აქაც იგივე სურათი. ქართულ სათვისტომოს, რომელსაც პირ-წმინდად ერთი ერის შვილები დაესწრო, მოახსენებაც რუსულად წაიკითხეს. რა ვუწოდოთ ამას? სირცხვილია!. მრავალ-ტანჯულ ენას—სხვებმა ხომ ხეირი დააყენეს და ქართველთ ახალგაზრდობაც, ეს „ნაღები“ ჩვენის საზოგადოებისა—ღირსად არა სთვლის მას ანგარიში გაუწიოს.

ქართველთა კრებაზე „გვერუსულებიან“ ის ვაჟბატონები, რომელნიც ესწრაფვიან გახდნენ ქართული მგოსნები, მწერლები, მოღვაწენი, რომელნიც ბიჯის გადადგმაზე იფიცავენ: ქვეყნისთვის პირად ბედნიერებას შევწირავთო.

მაშ რად ერიდებიან ქართულად ლაპარაკს? ალბად კრებაზე უცხო ერის შვილი თუ ეგულებათ, მაგრამ სათვისტომოს კრებებზე ესწრებიან ქუთაისის და ტფილისის მიდამოებიდან, და არა ციმბირელი ქართველები. შეიძლება კრება რუსულში სავარჯიშო სარბიელად გადაიქეს? ვფიქრობთ, რომ შესაფერი ალაგი ვერ მოუნახავთ. უფრო ღრმა მიზეზი დაგვრჩა, ეს არის ქართველ ახალგაზდობის გადაგვარება. ერთ მოლაპარაკის სიტყვებია: „კაცნო, ქართულად არ შემიძლია დამბარაკი“ აი, აქ იმარხება მთავარი მიზეზი იმ არა ჩვეულებრივ მოვლენისა, რომელსაც ვამჩნევთ ქართულ კრებებზე. ქართველ სტუდენტს არ შეუძლიან ქართულად ლაპარაკი? ზემოყვანილი სიტყვები ნიშანდობლივია, რომ ქართველი სტუდენტობაც (გამონაკლისით) გადაგვარებულა, ამ სიტყვის იმ მნიშვნელობით, როგორც ქართველ არისტოკრატიის გადაგვარებაზე ვგულისხმობთ.

ეს კი შავბნელ დასკვნამდის მიგვიყვანს: სტუდენტობა ეროვნულ ენას მოკლებული, მასთანვე აზროვნებასაც-მშობლიურ ნიადაგზე კულტურულ შემოქმედებას ვერ გამოიჩენს. და რა სამწუხაროა, რომ ქართველი საზოგადოება ასეთს არარობაზე ამყარებს იმედს. ეს მოვლენა გვაგონებს ქართველ „მოღვაწეთ“, რომელნიც რუსულ ასოებით ესწრაფვიან მშობლიურ მწერლობის აყვავებას, რუსულად დაწერილ ლექსებით, წერილებით და სხვ. რუსულ ასოებით ქართულ კულტურის გამდიდრება მეტად საეჭვოა.

საზოგადო ჩვეულება, რომელსაც ვერც პეტერბურგელი ქართველი სტუდენტობა ასცდა, არის უარყოფით მოვლენათა მიზეზის თავიანთ პიროვნების გარეშე ძებნა. რასაკვირველია, „ჩარუსულებას“ და ქართულ ენის განდევნას კრებებიდან საბუთად შაბლონური გასამართლება მოჰყვება: ოფიციალურმა სკოლამ დაგვამახინჯაო და სხვა. ერთი მხრით მართალია, მაგრამ ამ საბუთით თავის მართლება უსაფუძვლოა. ადამიანის პიროვნებაში ყოველივეა სიმახინჯის ჩასახული. ქართველი სტუდენტობა თუ კი დედა-ენის შესწავლას მოისურვებდა, ამას მცირე ხანში მიაღწევდა.

ორ-სამ წელიწადში უცხო ენებს სწავლობენ და იმდენად უნიჭონი არ მეგულება სტუდენტები, რომ დედა-ენის დახელოვნებაში მიზანს ვერ მიაღწიონ, თუ რასაკვირველია, სურვილი აღეძვრით. ქართველი სტუდენტობა გაურბის მშობლიურ ენას, და იქაც, სადაც არ მოეთხოვება, დამტვრეულ რუსულით ლაპარაკს არჩევს. ეს მეტად სამარცხვინო და შავბნელი მოვლენაა!

მართალია არ. ჯორჯაძე, როდესაც ქართულ სიტყვა-კაზმულ მწერლობის დაქვეითების მიზეზად ეროვნულ თავისებურობის ნასახის გაქრობა ცხოვრებაში და ინტელიგენციაში დაასახელა.

და განა მარტო კაზმულ მწერლობაში!..

დიახ, პეტერბურგის სათვისტომოს კრებაზეც აბუჩად აგდებულ იქმნა ქართული ენა. ოც კაცში მხოლოდ ერთმა ილაპარაკა ქართულად. ცხადია, დიდი სირცხვილია!

მივმართავ სათვისტომოს ახლად არჩეულ გამგეობას ამ სამარცხვინო მოვლენას სათანადო ყურადღება მიაქციოს. ქართულ სათვისტომოს კრებაზე მაინც სავალდებულოდ შემოღებულ იქმნას ქართულად ლაპარაკი და მოახსენების წაკითხვა. მაშრის მომასწავებელია სახელწოდება: „ქართული სათვისტომო“.

გლ. ცაგ—ია.

პატარა ფელეტონი

ვირთაგვა და ფოთელები

მოგზართავ, სტვირო, ისევ შენ,
ფიქრი, დუმილი კმარაო,
ვგრძნობ, ჩვენი ბედი ესაა,
ჩამოვყვეთ კარდა-კარაო.

ჯერ მკითხველს გავაგებინოთ,
რაც ფოთმა დაგვაბარაო:
შავი ზღვის გმირი ნიკოლა
პეტერბურგს გაგვეპარაო.
უანგარიშოდ, ქალაქის
ქონება ჯიბეს ჰყარაო,
„სფუთო“ კაპეიკები
კოხტივით მოგვაყარაო.
ნასესხებ ცამეტ მილიონს
შავი ქვა მოაფარაო,
(თუ უცაბედად ძილის დროს
ფოთი არ მოიპარაო).
სიმდიდრე ბევრი სხვაც ჰპოვა,
ჭკუითა მოაგვარაო,
სულ დაწკეპილი ქალები,
კოშკშიგან მოაჯარაო.
კარის მცველად ჰყავს ერთგული,
ნაკრეკი ცხვრისა ფარაო,
რა მოგახსენოთ კასისა,
არ ჰყავის გროში-ფარაო.
თვითონ ნიკოლა გვიამბობს:
— ვირ-თაგვამ მოიპარაო.
და იმის დასაჭერადა
ხალხს თავი მოუყარაო,
თავის ერთგული ხმოსნებიც
უკლებლად დაიბარაო.
ჰკითხავს: საიდან ძვრებოდა
ის ფლიდი, მეტიჩარაო!
ანდრი ჟვანიამ ამაზე
„რეჩები“ წამოჰყარაო,
სთქვა: ბატონებო, აქედან,
სახლს ძირი გაუთხარაო,
კოწიას ჯიბეს ჩაუძვრა,
იონა დაგვიცარაო,
ნესტორსა ყელში ჩაუხტა,
ლუარსაბს მოეფარაო,
დიდ-თავა, დიდსა მოურავს
სამუდამოდ მიებარაო.
„— ვაჰ, ცუდი საქმე მომხდარა,
ეს-კი არ ვარგა, არაო,
კანონის ძალით გიბრძანებთ,
შეასრულევით ჩქარაო:
გამოუცხადეთ ვირ-თაგვას
ნუღარ ხტის წარა-მარაო.
თუ არ დაეხსნას მაინცა,
გაძაღლდეს მეტიჩარაო,
დაიპირევით, შეჰბოკეთ,
კასას უკარით თავია,
თუ რამე დარჩა, ბარემა
გამოძღეს გულით სვავია.
და ამ ნაირად როგორმე
ჩამოაგდევით ზავია.

—

აწ-კი შევწყვიტოთ სიმღერა,
თანდა თან, ნელა-ნელაო,
ეყოფა რაც რომ შევაქეთ,
ფოთელი კუდა-მელაო!

ტლინკაძე.

მოწერილი ამბები

დ. ლაილაში. არგოთარი კულტურული დაწესებულება ჩვენ დაბიდაშდებისთვის არ არის, კარდ ორკლასიან გაზეთის და ერთკლასიან საქალებო სკოლის, მაგრამ საქმე აქ მაინც ხეირიანად რომ იყოს დაყენებული კიდეც მაინ. შემდეგი სიტყვა, რომლის ჩვენ მიერ განმარტებამ მიიქცია პატივცემულის მეცნიერის ბ. მარრის ყურადღება არის სიტყვა ეჯი. ჩვენს ლექსიკონში იგი განმარტებული გვაქვს სიტყვით ბილიკი, იხ. ჩვენი ლექსიკონის გვ. 125., ტექსტის მიხედვით, იუმცა იქვე ნაჩვენები გვაქვს მისი მნიშვნელობა ისე, როგორც, საზოგადოდ, ხსნიან ჩვენი ლექსიკოლოგები ჩუბინაშვილი, ორბელიანი, თეიმურაზ ბატონიშვილი და სხვ. ბ. ნ. მარრი კი არ ეთანხმება ჩვენს განმარტებას სიტყვით ბილიკი, ან „მიხვეული-მოხვეული საცალფეხო, ან მოსაპრელი გზა და იძლევა, შემდეგს განმარტებას: станція, остановка, რადგან მას უკავშირებს სომხურ ეჯ-ს, რომელსაც ამგვარი მნიშვნელობა აქვს და რომლისგანაც წარმოებულია ზმნა იჯანელ—რაც ნიშნავს დაშვებას, შესვენებას და დაასკვნის ასე: „тоже самое означала, вѣроятно, и форма էջ въ какомъ-либо армянскомъ діалектѣ, откуда она и была внесена устнымъ путемъ въ грузинскую рѣчь родной области Шоты“. მაგრამ საქმე იმაშია, რომ ეს სიტყვა გვხვდება თითქმის ყველა მე-12 საუკ. ნაწერებში, და შეუძლებელია, იგი მივაკუთნოთ მხოლოდ იმ კუთხეს, რომელსაც შოთა ეკუთნოდა; ამას გარდა იგი არსად არ ნიშნავს станція-ს, спускъ-ს, ან остановка-ს, არამედ სავალ გზას ან სიგრძის ზომას. მაგ. „ვისრამიანში“ იგი გვხვდება გ. 303 სტრ. 22.

ი. ბუღაძე.

(დასასრული იქნება)

ბ. ლაილაში. ... ...

რამ განსაკუთრებული ეურადღება მიექცია შეორე განეოფილების მასწავლებლებმა: არჩილ კვლელაძემ და მიხა ბუზიაშვილმა. ბირველმა ისე მოხდენილად, შესაფერი კილოთი და კამოთქმით წაიკითხა დექსი „კაცსიფხული“ შეორემ-დექსი „შუშა“, რომ ხედ-მეორედ კაამეორებინეს. დრო კამოშეებით ამავე სკოლის მკადრბელთა კუნდი ასრულდება ქართულ და რუსულ სიმღერებს ბ. თოთიბარაძის დიტბარობით. მოწვეული იყვნენ ქარელის და კეხი ჯვარის სამინისტრო სკოლის მასწავლებლები თავიანთ შეგირდებით. ხალხი საკმაოდ დაესწრო და დიდად ნასიამოვნებიც დაიშალა. კარგი საახალწლოდ კამართონ შობის ხე მოსწავლეთათვის.

— რუისში ამას წინედ, შეაარადეული უტრობები თავს დაესხნენ „სბორშნიკ“ ბუზიაშვილს, წაართვეს კალასხადებში მოგროვილი 60 მ. და მიიმალნენ.

ადგილობრივი მცხოვრები.

—

დაბა ადილერში. თან და თან მატულობს მოიჯარადრენი ქართველ-მეკრედთა რიცხვი: ვაკრები, ხეტუის ხელოსნენ დურგლები და მუშებიც ქართველ-მეკრედებისგან შესდგება. უმეტესი ნაწილი ქონებრივად კარგად ცხოვრობს; მაგრამ სულიერად საერთოდ ნამორჩენილია. ფულის ინტერესმა მთლად დაგიწყეს სამშობლოსთან კავშირი, ადამიანურ ცხოვრებისაკენ მისწრაფება.

აქ მცხოვრებთ, ქართველ მეკრედებს, თუმცა სწავლა და ქონება ნებას აძლევს გამოიწეროს ეურნალ-კაზეთები და წიგნები, მაგრამ ფიქრადაც არ მოსდით.

სამაგიეროდ ხშირად შეხვდებით ახალგაზრდებს, რომელნიც ერომანეთის პატიეში არიან. „ამხანაგო! მოდი დაგეგმატეთო, ქუთაისიდან ნამოტანილი ამდეგრეული მაკარი გაგწურეთო“, მაგრამ ცოტა ხნის შემდეგ, ამდეგრეული დგინია, ეგელას ტეინიც ამდეგრეული აქვთ, უწესოდ სტამენ ერომანეთს ქუჩებში. ეს ესაა ეროვნ ეოქმედება გაშეგებარ ბაზრის ხალხისათვის სასაა შოკნოდ რჩება და სეირს უცქერიან

თ. გოგია.

—

ქუთაისი. წადეგნდედი წედიწადი დასავლეთ საქართველოს მეკიდრეთათვის შესაფერი ერთობ უხეი და ბარბაროსია, მაგრამ იგი სხვაფერეგაცა მესანიშნავი, სასეედრობრ იმით, რომ წედს ხშირი ეოდენა, ედებების მიერ, ეგრედ წოდებულ „ტეუშის“ და ზოგან მეტი ბაგშვის მშობიარობა. ამ დღეებში ქუთაისის მაზრის სოფ. ზარიაში ვინმე ძ—ძის ოჯახში დედამ სამი ქალ-ვაჟი შვა. ამაზე წინად ამავე მაზრის ს. ეახეთში ა—ძის ცოლმა კი—ხეთი.

თეატრი და ხელოვნება

ქართული თეატრი. გრძელი და გაჭიანურებულია სუეორინისა და ბურენინის დრამა „მედეია“, მაგრამ მცირე და სუსტია თავის შინაარსით. მართალია, ძოძქმედნი პირნი ბევრსა ლაპარაკობენ, განსაკუთრებით მედეია და იაზონი, მაგრამ ეს არის მარტოოდენ სიტყვები, რომელიც ერთობ მკრთალად ახასიათებს „ტატისა და ბეფის“ ძაძიებელ იაზონს და რაღაც საშინელ ავაზაკად გამოჰყავს მედეია.

ამის მიუხედავად, პიესაში არის ბევრი ისეთი ადგილი, რომელიც უხვს მასალას აძლევს მსახიობს თავის ცოდნისა და ნიჭის ფართოდ გამოსაჩენად. ამით ეიხსნება ის „გარეგობა, რომ ბევრი მსახიობი განსაკუთრებით ეტრფის იაზონისა და მედეიას როლს და ამ როლებში გამოსვლით ან კარგის მსახიობის სახელს იხვეჭავს, ან არა და მარცხდება და სამუდამოდ უოიგდება იმ ბაზრს, რომ ის არის დიდებული არტისტი კი არა, ალაბედ ისეთივე ჩვეულებრივი.

მსახიობს ძუდამ უნდა ახსოვდეს ეს და ისე ადვილად ხელი არ უნდა მოჰკიდონ ამ როლებს რათა მომქმედ პირთა უდიდესი სულისკვეთება კადნიერად არ გაამასხარაოს და თვითონაც თითით საჩვენებელნი არ გახდეს, როგორც ეს მოჰხდა 9 დეკემბერს.

ამ დღეს გამართული წარმოდგენა ნამდვილი შეურაცყოფა იყო თავგანწირულ მედეიას ხსოვნისა, ქართულ ხელოვნებისა და თეატრში მოსულ იმ საზოგადოებისა. რომელიც ამ ბოლო დროს მეტის ყურადღებაპატივისცემით ეპყრობა ქართულს თეატრს.

დავიწყოთ ქ-ნ ცაცა ამირაჯიბიდან, რომელიც სცენაზე პირველად გამოვიდა კრეუზას როლში. პირველ გამოსვლისას მან კარგი შთაბეჭდილება მოახდინა თავის მშვენიერ ხმით, კეფილ გამოთქმით და სასცენო ტანადობით, მაგრამ სცენაზე გამოუცდელობამ და ტეხნიკის უქონლობამ იმდენად იჩინა თავი, რომ როლი ერთფეროვნად და ცივად ჩაატარა, თუმცა არ გაუფუჭებია. მომავალში, უეჭველია, იგი თვილსაჩინო მსახიობად შეიქმნება.

სულ სხვა იყო მედეიას როლის ალმსრულებელი ქ-ნი ან. ჩირგაძე, რომლსაც ჩვენ ბევრი ქება გაგვიგონია, თუ ც. ამირაჯიბი კარგად გრძნობდა თავის გამოუცდელობას და თავს იჭერდა, მედეია—ჩირგაძე ანგარიშს არ უწევდა თავის სისუსტეს და თავდაუჭერლად, ფრთა-გაშლილ დანავარდობდა სცენაზე, ყვიროდა, სადაც ეს არ იყო საჭირო და ჩუმად იყო, სადაც მცირე სუთნქვას და მოძრაობასაც დიდი მნიშვნელობა ჰქონდა. თუ იმასაც დავუმატებთ, რომ მაღალ ფარდებში ჩირგაძის ხმა მეტად უსიამოვნო და უფრო ხრინწიან მამაკაცის ხმას მოგვაგონებს, ვიდრე ქალისას, მაშინ ყველა ადვილად წარმოიდგენს, რა ანტი ესთეთიური სიამოვნება მივიღეთ ქ-ნ ჩირგაძის თამაშით.

იქნებ ეს დაფასება მეტად მკაცრი ეჩვენოს ვისმეს, მაგრამ რა ვუყოთ, როდესაც ათასჯერ გვჭირდება ამ სიტყვების თქმა: **ყველამ თავისი ადგილი უნდა იცოდეს**; თუ არ იცის, უნდა უჩვენონ.

მეტად სასაცილო და მასთან სატირალ მდგომარეობაში იყო იაზონი—ბუდუ მდივანი. ჩვენ განსაკუთრებით ვადევნებდით თვალ-ყურს ამ მსახიობის მცირე მოძრაობასაც კი. გვინდოდა გვეპოვნა ერთი მომენტი მაინც, სადაც იგი ოდნავ მოგვაგონებდა იაზონს, მაგრამ ამაოდ: მსახიობი განუწყვეტლივ გაჭკიოდა, ვით იერიქონის საყვირი და დაუსრულებელ სიცილ-ხარხარს იწვევდა დამსწრე საზოგადოებაში. მშვენიერს ასულს კრეონისას, ნაზ კრეუზას სიევარულიც კი ყვირილით დაუმტკიცა.

ბ-ნი ბუდუ მდივანი შეგნებული კაცია და გვიკვირს, რადა კისრულობს ისეთს ტვირთს, რომლის ზიდვა მას არ შეუძლია?!

მეტად სუსტი იყვნენ ვ. გუნია (კრეონ) და ელ. ჩერქეზიშვილი (გორა). კარგად შეასრულა თავის როლი მხოლოდ გ. გედევანოვმა (ფილოქტელ), რომლის გონივრული დაბოლონილი თამაში, რასაკვირველია, ძალიან გააუფერულეს მისმა პარტნიერებმა.

ჩვენდა სანუგეშოდ უნდა აღვნიშნოთ, რომ ეს წარმოდგენა გამართეს კერძო პირებმა და დრამატიულ საზოგადოების გამგეობას არავითარი მონაწილეობა არ მიუღია და ღრმადა გვმწამს, რომ ხვალისთვის დანიშნული ვასო აბაშიძის ბენეფისი განგვიფანტავს იმ უსიამოვნო გრძნობას, რომელიც ამ საღამოს განვიცადეთ.

ხ. ი—ძე.

—

ქუთაისი. შაბათსა და კვირას, ზედიზედ, ადგილობრივმა ქართულმა დასმა ოთამაშა დრამა: „მეფე ჰერნის ნავარიისა“. მოქმედებები რომ ცოტა გაჭიმული არ იყოს, უფრო სასცენო და სასიამოვნო იქნებოდა. მაგრამ მიუხედავად ამ ნაკლისა, ჩვენმა მსახიობებმა მწყობრად ჩაატარეს ყველა მოქმედებები. შესანიშნავი იყო ჩვეულებრივად ნინო ჩხეიძე და ყალაბეგაშვილი. უკანასკნელი, ბუნებრივი და თავისუფალი თამაშით კაგრ შთაბეჭდილებას ახდენდა. ერთად ერთი მსახიობია, რომელიც სცენაზე თავისუფლად მოქმედებს! არ შემიძლია არ აღვნიშნო აგრედვე ქორელი „ჰენრიხის“ როლში. იგი საუცხოვო იქნებოდა, რომ სიტყვებს ნაწყვეტ-ნაწყვეტად არ ისროდეს, უკანასკნელ მოქმედებაში უფრო მეტი ძალაა საჭირო, ეს პატივცემული მსახიობი კი თითქმის გულ-გრილად ემშვიდობებოდა საყვარელ არსებას—მაგრამ (ნ. ხეიძე). მეხუთე მოქმედებაში სროლა და გუგენოტების კიჟინა არა ბუნებრივი იყო. ბრბოს ყვირილი და კიჟინა ყურებს უჭედავდა საზოგადოებას, რადგან ოთახის კედლებს მომდგარი სტატისტები აქლემივით ღრიალებდნენ.

როგორც ყოველთვის იმედაშვილი ამ სადამოს საუცხოვო იყო. მაგრამ ხმა ჩახლეჩილი ჰქონდა, რაც მსახიობს მეტად უშლიდა სულიერ გრძნობის გამოხატვის დროს. ამ მსახიობს დიდი წინ-სვლა ეტყობა...

თუ შარ მანდელ სეზონში ბევრი ნაკლი ჰქონდა, წრეულს კი უნაკლოდ ასრულებს ხოლმე ნაკისრ როლს.

მაგრამ მგონია ქება-დიდება ხშირად ცუდად მოქმედებს ხოლმე ადამიანზე.. მას აქვეთ, რაც ქ-ნმა ქიქოძემ სახელი გაითქვა,—უფრო გულ-გრილად ეკიდება თავის მოვალეობას. მაგალითად ამ საღამოს იგი არ მოგვეწონა... ეკატერინე დემიჩი (ქიქოძე) უფრო მრისხანე და შურიან ქალს უნდა წარმოადგენდეს, ვიდრე სუსტი ხასიათისა და უმოქმედოს, როგორც ამ საღამოს დაგვისურათა მსახიობმა.

ხუთშაბათს მარო მდივანის საბენეფისოდ დგამენ ლ ტოლსტოის „აღდგომას“ და იმედია პატივცემული საზოგადოება დაფასებს ტფილისელ სტუმარს! **სერგო.**

—

ქ. ახალციხე. კვირას, 5 დეკემბერს, ადგილობრივ სცენის მოყვარეების მიერ ახლად გახსნილ საკვირაო სკოლის სასარგებლოდ გამართულ იქნა წარმოდგენა „გამარჯვებულნი“ 4 მოქმედებიანი, და ბოლოს მასწავლებელი მეტრეველი ხელმძღვანელობით ცოცხალი სურათები დაიდგა. წარმოდგენამ გვარიანად ჩაიარა. კარგი იყო ცოცხალი სურათებიც. ხალხი ბლომად დაესწრო. დიდი უწესობა სუფევდა პარტერში, უწმაწური სიტყვები, ყვირილი, სკამების მტვრევა და სხვა. დროა, შეეგნოს აქაურმა საზოგადოებამ, რომ თეატრი სამასხრო სახლი არ არის. საკვირველი ისაა, რომ ამას ისეთები სჩადიან, რომელთაც ინტელიგენტად მოაქვთ თავი!

შემოსავალი 58 მან. იყო. მადლობის ღირსია ქ-ნი ჯუღელი, რომ დახმარებას უწევს წერაკითხვის არ მცოდნე ღარიბ ხალხს. **გარეული ხბიკი.**

განცხადებანი

სამოზბიარო თავშესაფარი ბებია-ქალის მ. ი. ფოროსტიანოვისა

მიიღებიან ორსულნი მოსალოგინებლად ყოველ დროს—დღითა და ღამით. არის აგრედვე საიდუმლო ოთახები.

რეუტოვის ქ. № 10. (100—279—3)

მშობიარეთა თავშესაფარი ✦ბებია ქალი✦ მ. ი. კრემერისა

ნიკოლაზის ქ. სახ. № 47.

მშობიარენი და ორსული ქალები მიიღებიან დროს განუსაზღვრელათ—დღითაც და ღამითაც. მშობიარეთ კარგათ უვლიან, საექიმო დახმარებას ზუდამ უწევენ, არის ოთახები ისეთ მშობიარ ეთათვის, რომელთაც საიდუმლოთ სურთ მოილოგინონ. ბირობები საერთო პალატაში 2 მ. დღეღამეში, მშობიაობის დროს დახმარება 6 მანეთი, ნომერში მოსათავსებელ და გინეკოლოგიურ ავადმყოფთ ფული გადახდებათ წინასწარ მორიგების თანხმად. ქალთა სენით ავათმყოფთა მიღება და ძიძების გასინჯვა ყოველ-დღე დილის 12½ 11½ საათამდე (100—276—3)

დოქტ. ნავასარდიანისა

ყოველ დღე, კვირეებს გარდა დაარსებულია 1880 წელს.

(ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)

დ ი ლ ი თ:

ბ. ა. ნავასარდიანი: 11—12 ს. ქირურგიული, ვენერიული (სიფილ.) ავად.

ყ. მ. ჩიქოვანი: 9½—10 ს. თვალისა, შინაგანი და ნერვებისა.

ზ. ი. ბაბანასოვი: 10—11 ს. საბებიო, ქალებისა და ბავშვებისა.

ნ. ტ. მულინი: 10—12 ს. ყურისა, ცხვირისა და ყელისა.

მ. ვ. ავეტისიანცი: 11—12 ს. კანისა, სიფილისი, ვენერ., საშ. და ქირურგ.

ა. მ. პუგინოვი. 12—1 ს. შინაგანი, ბავშვებისა და ყვავილის აცრა.

ა. პ. კარაპეტიანცი. 1—1½ ს. შიგან. და საბავშვო.

ბ. ვ. აგასაროვი: 1½—2 ს. ფარეგ. და ბავშვთა ავად.

ს ა ღ ა მ ო თ ი:

ქალ. ექ. პ. ს. ზილბერშაცი: 6—6 ს. საბებ., ქალ. და ბავშ. ავად.

ო. ვ. გეევსკაია-ენგელი: 6—6½ ს. საბებიო, ქალებისა და ბავშვებისა.

ი. ფ. მარციშევსკი: 6—7 ს. შინაგანი, ბავშვებისა და ყვავილის აცრა.

რჩეგა 50 კაპ. ღარიბებს უფასოდ, კონსულტაციები და ფეგრავიები შეთანხმებით. სამკურნალოს დირექტორი მედიც. დოტქორი **ბ. ა. ნავასარდიანი.**

„Шарманщикъ“ გამოვიდა გასასყიდად

ეროვნულ პალეტონ 1911 წ.

ქართველთათვის, ეთოლოგიკეთათვის, ეროვნულ-ლიტერატურული ეროვნული ეროვნული ეროვნ